ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5540267

ნომერი: AR1841413

თარიღი : 30.07.2021

გაცემის თარიღი : 09.08.2021

გაცნობის თარიღი : 10.08.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის I შესახვევი N10; ჩანტალძის პირველი შესახვევიN 10;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ონიაშვილი პ/ნ 59001024482
- გორი ს. ყელქცეული

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 30 ივლისს №AR1841413 განცხადებით მომართა დავით ონიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 01 ივლისის №5481795 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 01 ივლისის №5481795 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის I შესახვევი №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.17.001.044) ოფისის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 01 ივლისიდან 2022 წლის 01 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2021 წლის 01 ივლისის №5481795 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა და შესაბამისად ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2020 წლის 01 ივნისის №AR1751280 განცხადებაზე წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტში და მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მშენებლობის ვადად მითითებული იყო 8 თვე. გაცნობებთ, რომ №5481795 ბრძანება გამოცემულია 2021 წლის 01 ივლისს, მშენებლობის ვადაც განსაზღვრულია 2021 წლის 01 ივლისიდან 2022 წლის 01 მარტის ჩათვლით (მოთხოვნის შესაბამისად 8 თვით). შესაბამისად, სამსახურის 2021 წლის 01 ივლისის №5481795 ბრძანებით სწორად განისაზღვრა მშენებლობის ვადა 8 თვით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 01 ივლისის №5481795 ბრძანება არ შეიცავს ტექნიკურ შეცდომას მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში, შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2021 წლის 01 ივლისის №5481795 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ გსურთ მშენებლობის ვადის ცვლილება საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ სამსახურის ოფიციალურ ვებ.გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი ნომენკლატურით ელექტრონული განაცხადები - მშენებლობის ნებართვა - ადმინისტრაციული - საქმიანი ობიექტები - ოფისი განსაზღვროთ შენობის პარამეტრები, ქმედებებში აირჩიოთ მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, ხოლო ქვექმედებებში - ვადაგაუსვლელი.
განცხადების დარეგისტრირებისას პროგრამა pdf ფაილის სახით ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე და პასუხი გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.